

ქ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმი №3

12 აპრილი 2019წ. სხდომის ადგილი ქ. ბაღდათი ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზი.

სხდომას ესწრებოდა 8 წევრი:

1. დავით ჯანიაშვილი;
2. სევერიანე ლამბაშიძე;
3. მარიამ კიკვაძე;
4. დავით ჩხოვაძე;
5. თამარ გელაშვილი;
6. მარიამ თევდორაძე;
7. ჯუმბერ ზირაქაძე;
8. ანა ლემონჯავა; და მუნიციპალიტეტიდან მრჩეველთა საბჭოს კოორდინატორი სოფო ნატრიაშვილი.

ასევე სხდომაზე მოწვეული იყვნენ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლები, ნინო ნაცვლიშვილი და ლევან ოყრეშიძე.

სხდომას უძღვებოდა დავით ჯანიაშვილი.

დღის წესრიგი: 1. გახსნა; 2. საბჭოს წევრების გაცნობა; 3. საბჭოს მოსახლეობასთან და მედიასთან კომუნიკაციის საკითხი; 4. ქ. ბაღდათში ტურისტული ცენტრის შექმნის და ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია.

საბჭოს სხდომა გახსნა და წევრებს სიტყვით მიმართა ბ-ნმა დავით ჯანიაშვილმა, რის შემდეგაც შეხვედრა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით, სიტყვა გადაეცა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრს ნინო ნაცვლიშვილს, რომელმაც გამართა პრეზენტაცია და გაამახვილა ყურადღება საბჭოს საქმიანობაზე, მის ფუნქციაზე და მუშაობის პრინციპებზე, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესაძლო როლი მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე, დაკომპლექტების სარეკომენდაციო მიდგომაზე, საჯარო პრინციპებზე, კრიტერიუმების განსაზღვრის სტრატეგიაზე, საბჭოს წევრების შერჩევის პრინციპზე, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ორგანიზებაზე. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთ პუნქტზე კერძოდ მოსახლეობასთან და მედიასთან კომუნიკაციის საკითხი, ინფორმაციული წვდომა და მისი გავრცელება, დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და საბჭოს ერთიანი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სასურველია ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლის მოწვევა ან/და ჩართვა ამ პროცესში, ასევე საბჭომ შექმნას ცალკე FACEBOOK გვერდი სადაც თვითონ უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას საბჭოს მუშაობის შესახებ და საბჭოს სხდომების ოქმების გასაჯაროებას. საბჭოს სხდომის დასასრულს დიდი ყურადღება დაეთმო ქ. ბაღდათში ტურისტული ცენტრის შექმნის და ტურიზმის განვითარების როლს. ის, რომ ბაღდათს გააჩნია საამისოდ განვითარება, რადგან ტურისტული ცენტრი ბაზარზე პირველია და უკონკურენტო არამარტო ბაღდათში მეზობელ ქალაქშიც, ის, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის ის საკმაოდ წინ გადაგმული ნაბიჯი იქნება, ასევე შრომითი რესურსი, დასაქმდება ადამიანები, ასევე ბაღდათის და მისი ღისშესანიშნაობების გაცნობადობის თვასაზრისით, აგრეთვე აღინიშნა რომ ბაღდათში და მის შემადგენელ სოფლებში არის ლიცენზირებული ღვინის მარნის 48 დასახლება და რომ ეს ტურისტული სააგენტო აუცილებლად უნდა დავიდეს google maps ზე. ყველაფერ ამ საკითხებზე დაყრდნობით საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემდეგ სხდომაზე მოწვეული იქნას ბაღდათის ტურიზმის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი და ეს საკითხები საბჭომ ვრცლად გაიაროს მასთან.

საბჭოს მორიგი სხდომა წინასწარ დაანონსებული არ არის.

საბჭოს თავჯდომარე: 

დ. ჯანიაშვილი